



## სიტყვა პაოლო იაშვილზე

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც პაოლო იაშვილის სახელის ხსენებაზე პირზე ხელს აფარებდნენ შეშინებული მშობლები.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელთა თვალში ზოგიერთი ცდილობდა, პაოლოს ჭეშმარიტად რაინდული საქმეები ისე დაეხურდავებინა, როგორც იესოს ჩადენილი სასწაულები. მისი შემოქმედება ჰგავს დანგრეულ ტაძარს, მაგრამ მან მაინც მოასწრო ხმის გამოღება, ვით დიდმა ზარმა სამრეკლოდან ჩამოგდებულმა და ხმა იმ ზარისა მაინც შეეხო ჩვენს გულებს და ააჩქარა და ააღელვა და ახალი ძალით ააძგერა იგი.

მე ჩემი მადლიერი თაობის სახელით მოწიწებით ვხრი თავს მისი ნიჭიერების წინაშე.

მინდა ავგარდე მამადავითზე,  
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ;  
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე  
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო მკრეხელობა, ცინიზმი და სულმდაბლობა, რომ ამ სტრიქონების ავტორისათვის სამშობლოს ღალატი დაებრალებინათ.

ვინ მისცემს ნებას არჩეულ პოეტს,  
გაუნადგურონ ბუდე ნაგები.  
ხალხის სიყვარულს თუ მოიპოვებს,  
პოეტს მრავლად ყავს ამხანაგები.

რაოდენ სულმდაბალი უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, რომელმაც ამ სტრიქონების ავტორს ხალხის მტრის დადი დაასვა და ხალხის ღალატი დააბრალა.

მაგრამ რაოდენ დიდი უნდა იყოს ერის ბუნება, რომელიც არ აჰყვამს კაენის სულის აღზევებას — როგორც ეს ბრძანა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ და კვლავ ააშალა თავისი წაქცეული შვილი.

ნეტავ რა მოკლავს პაოლო იაშვილს, რომელსაც ისეთი ჭირისუფალი ჰყავს, როგორიც ქართველი ხალხია.

და თუ ლექსი და სიყვარული უკვდავია, მაშინ უკვდავია პაოლო იაშვილიც.



ნება მომეცით, ჩემი მოკლე სიტყვა მისივე ლექსით დავამთავრო, რომელიც ახლა ლამაზად ესადაგება მისი მშით სავსე ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს.

და როცა წადილს ერგები  
წრე გაიშლება განდაგან,  
შენც ხალხში დაინერგები,  
დაუმარცხებელ ქანდაკად.

მტერს კი დარჩება სახადად  
ძახილი დაუცხრომელი.

— დაჯდა!

— დაწერა!

— დახატა!

...და მოკვდა, როგორც მშრომელი.

